



# ქართული საადგილმამულო ბანკის ჩამოყალიბება

რეზიუმე

სტატიაში „ქართული საადგილმამულო ბანკის ჩამოყალიბება“ აღნიშნულია, რომ ბანკის ჩამოყალიბება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელსაც განსაკუთრებული ადგილი განეკუთვნება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური წინსვლაში. აღნიშნული თემის სრულყოფილი შესწავლა და ქართული საფინანსო ინსტიტუტების წარმოშობის სათავეების კვლევა უდაოდ ხელს შეუწყობს დღევანდელი ქართული საბანკო ბიზნესის განვითარებას. მოყვანილი მასალებიდან ჩანს თუ რამდენად მრავალმხრივი იყო ქართული სათავადაზნაურო ბანკის საქმიანობა. შეიძლება ითქვას, რომ მას უწყურადღებოდ არ დაუტოვებია მაშინდელი საზოგადოებრივი ცხოვრების არც ერთი სფერო. დღეს რა თქმა უნდა ვერ მოვთხოვთ თანამედროვე ბანკებს იმას, რაც შეძლო საადგილმამულო ბანკმა, მაგრამ სასურველია ისინი უფრო აქტიურად და ამასთან ეფექტურად იყვნენ ჩართულნი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროების გადაწყვეტაში, იქნება ეს კულტურა, სპორტი თუ მეცნიერება.

სტატიაში ორიგინალურადაა გადმოცემული, რომ ქართული სათავადაზნაურო ბანკი იყო პირველი საფინანსო ინსტიტუტი საქართველოში, რომელიც როგორც საკრედიტო დაწესებულება ხელს უწყობდა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარებას და ამავდროულად ახერხებდა ფულადი სახსრების გამოყოფას საქველმოქმედო ფონდებისათვის, რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყნის სოციალურ-კულტურულ აღორძინებაში. თბილისის და ქუთაისის საადგილმამულო ბანკები მოგების მნიშვნელოვან ნაწილს საზოგადოებრივი საჭიროებისათვის გამოიყენებდნენ. ამ თვალსაზრისით ისინი არსებითად განსხვავდებოდნენ რუსეთის იმპერიაში არსებული ყველა საკრედიტო დაწესებულებისაგან.

**საკვანძო სიტყვები:** ბანკი, საფინანსო ინსტიტუტი, საკრედიტო დაწესებულება, სოციალურ-ეკონომიკური.

რამაზ ოთინაშვილი –

სტუ-ს პროფესორი

E-mail: otin-44@mail.ru

შალვა კუტუბიძე –

სტუ-ს დოქტორანტი

E-mail: kutubidzeshalva@gmail.com

შენახალი

ქართული საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა წარმოიშვა საგლეხო რეფორმის პერიოდში, რომელიც რუსეთის მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც მემამულეთა ინტერესების დაცვით ჩატარდა. თუმცა უნდა ითქვას, რომ მას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის. რეფორმამ დააჩქარა დრომოჭმული ურთიერთობების რღვევა და ფართო გასაქანი მისცა საბაზრო მეურნეობის განვითარებას.

XIX საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისიდან აქტიურად დაიწყო მუშაობა ბანკის წესდების შემუშავებაზე, იყო აზრთა სხვადასხვაობა წესდებასთან დაკავშირებით. ბანკის საწესდებო სარედაქციო კომიტეტის წევრი ა. ზუბაძე-ალაშვილი მართებულად მიუთითებდა დ. ყიფიანის მიერ შემუშავებული პროექტის ნაკლოვანებებზე და აღნიშნავდა, რომ გამდიდრების წესი, ანუ კომერციული წესი ნებისმიერი ერთი და იგივეა და რომ განსხვავება კომერციულ და საზოგადოებრივ ბანკს შორის ბანკის მოგების განაწილებაშია, მხოლოდ მიზანში და არა საშუალებებში. ბანკის მიერ დაგირავებული მიწის გაუსყიდობა მას არასწორად მიაჩნდა და უმაღლესი ხარისხის ჰუმანიზმის გამოვლინებად თვლიდა, უფრო მეტიც მისი პრაქტიკაში განხორციელება შეუძლებელი იქნებოდა, რადგან თუ ბანკი პრინციპულად მიიღებდა გირაოს გაუსყიდობას, იგი გაკოტრდებოდა და თვით იდეაც შეუსრულებელი დარჩებოდა.

საზოგადოებრივი ბანკის დაარსებისათვის განსაკუთრებულად აქტიურად მოქმედებდა მ. მამაცაშვილი, რომელიც ბანკის სარედაქციო კომიტეტის სახელზე გაგზავნილ ბარათებში, საგაზეთო სტატიებში და ბროშურებში ეწინააღმდეგებოდა დიმიტრი ყიფიანის შემოთავაზებულ წინადადებებს და თვლიდა, რომ სწორი იყო მხოლოდ სათავადაზნაურო წოდებრივი ბანკის საზოგადოებრივ ბანკად გარდაქმნა.



ბანკის წესდების საბოლოო ტექსტის შემუშავებას, განხილვას და დამტკიცებას მთავრობის ორგანოებში შვიდი წელი დასჭირდა. წესდების შემუშავების და შემდეგშიც ბანკის საკრედიტო პოლიტიკის წარმართვასთან დაკავშირებით კომიტეტის წევრებს შორის მძაფრი პაექრობა მიდიოდა. წინააღმდეგობა იყო იმასთან დაკავშირებითაც, თუ რა სახის ბანკი უნდა დაარსებულიყო, როგორი უნდა ყოფილიყო მისი მართვა, რა ბიზნეს ამოცანები უნდა ჰქონოდა და ა.შ. სხვადასხვა ეკონომიკური აზრის მიმართულების წარმომადგენლები ზოგჯერ ვერ თანხმდებოდნენ უმარტივეს საკითხებშიც კი და თანაც საკმაო ორიგინალურობითაც გამოირჩეოდნენ, რაც რა თქმა უნდა გავლენას ახდენდა რეფორმის შემდგომი პერიოდის განვითარებაზე.

საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ წესდების პირველი ვარიანტი, რომელიც უკვე მეფისნაცვლის მთავარ სამმართველოსთან არსებულ საბანკო კომისიაში იყო გადაგზავნილი, მასში შესწორების შეტანის მიზნით დიმიტრი ყიფიანმა უკანვე გამოითხოვა, ხოლო მეორე პროექტი, რომელიც რუსეთთან სპეციალურად ამ საქმისთვის მოწვეული რუსი საბანკო სპეციალისტის, ნ. ვოდოვის მონაწილეობით შეადგინეს, საგსებით შეიცვალა პირველი პროექტით გათვალისწინებული შენიშვნებით, ფაქტობრივად იგი წარმოადგენდა სააქციო ბანკის წესდებს. დიმიტრი ყიფიანი სათავადაზნაურო საგუბერნიო კრებაზე ასეთი ბანკის დაარსებას არ ურჩევდა. როგორც ჩანს, ვოდოვის ზეგავლენით გადაუხვია თავისივე არჩეულ გზას. საბანკო კომისიამ სააქციო ბანკის პროექტი არ დაამტკიცა და სარედაქციო კომისიას დაუბრუნა დასამუშავებლად. ფაქტია, რომ ნ. ვოდოვის მონაწილეობით შედგენილმა წესდების პროექტმა არამარტო მთავრობა, თვით მ. მამაცაშვილიც არ დააკმაყოფილა. მ. მამაცაშვილი თავის კრიტიკულ წერილებში ამ საქმით დაინტერესებული საზოგადოების საკმაო დიდი ნაწილის აზრს ახმოვანებდა.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ დიმიტრი ყიფიანის წინამძღოლობით შემუშავებული იქნა საბანკო წესდების ხუთი პროექტის სხვადასხვა ვარიანტი და მათგან ბოლო მეხუთე ვარიანტი გაეგზავნა დასამტკიცებლად ფინანსთა სამინისტროს. საბანკო კომისიის სათანადო შესწორებების შემდეგ, მთავრობამ არც ეს პროექტი არ დაამტკიცა, რადგანაც არასწორად და გაუმართავად მიიჩნია ერთ საკრედიტო დაწესებულებაში გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხების გაერთიანება.

1871 წელს თბილისის თავადაზნაურთა საგანგებო კრებამ ბანკის წესდების შემუშავებული ხუთი კომისია აირჩია თავადაზნაურობის ახალი წინამძღოლის რ. ანდრონიკაშვილის თავმჯდომარეობით. ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ კომისიის წევრთა უმრავლესობა ბანკის დაარსების წინააღმდეგ იყვნენ თავიდანვე. კომისიამ შეადგინა ზოგადი დებულება, ანუ ევრეთ-წოდებული ჩანაწერი, თბილისის გუბერნიის მიწათმფლობელთა საჭიროებისათვის საკრედიტო დაწესებულების მოწყობაზე და სამაზრო საადგილმამულო გამსხესხებელ ამხანაგობათა წესდების პროექტი, რომლითაც ფაქტობრივად უარყო საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა.

მაზრებში მოკლევადიანი სესხის საკრედიტო ამხანაგობების დაარსებამ, რასაც კომისიის პროექტი ითვალისწინებდა საზოგადოების უმრავლესობის უკმაყოფილება გამოიწვია, რასაც თან მოჰყვა როგორც სიტყვიერი, ასევე საგაზეთო სტატიები და პუბლიკაციები, როგორც ქართულ, ასევე რუსული პრესის ფურცლებზე.

70-იანი წლების ქართველი სამოციანელეები ილია ჭავჭავაძის თავკაცობით აქტიურად უჭერდნენ მხარს საადგილმამულო ბანკის დაარსებას. მათი უმთავრესი მიზანი იყო საკრედიტო დაწესებულების გამოყენება ეროვნულ გამათავისუფლებელი მოძრაობის ინტერესებისათვის. 1872 წლის 25 ნოემბერს, თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრებაზე, სადაც იხილებოდა ამხანაგობის წესდების პროექტი ილია ჭავჭავაძე წინ აღუდგა კომისიის წევრთა ცდებს დაესამარებიანთ საადგილმამულო ბანკის დაარსების იდეა. საადგილმამულო ბანკის დასა-ცავად მან წარმოთქვა სიტყვა, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა მოწინააღმდეგე ინტელიგენციის აღებული კურსის არა მართებულობაზე და მასზე გამარჯვებისათვის. კრებამ უარი თქვა ამხანაგობათა წესდების პროექტზე და აირჩია ახალი სარედაქციო კოლეგია და კომიტეტი საადგილმამულო ბანკის წესდების შესამუშავებლად. ილია ჭავჭავაძე აირჩიეს სარედაქციო კომიტეტის ერთ-ერთ წევრად და წესდების პროექტის დამუშავება მას დაავალეს. იმავე წელს, კერძოდ 1872 წლის 5 დეკემბერს, კრებას ილიამ წესდების ახალი პროექტი წარუდგინა, რომელიც ერთ ხმად მოიწონა კომისიამ. ამ თვალსაზრისით, ილიამ უზარმაზარი სამუშაო გასწია როგორც პროექტის დამუშავებაში, ასევე მთავრობის ორგანოებთან მისი დამტკიცებისათვის, რისთვისაც იგი პეტერბურგში სპეციალურად გაემგზავრა და ერთი წელი იქ იმყოფებოდა და შეიძლება ითქვას, რომ საქმე



ბოლომდე მიიყვანა. ყოველივე ამის შემდეგ, უფრო ზუსტად კი 1874 წლის 5 სექტემბერს, გუბერნიის სათავადაზნაურო კრებამ ილია ჭავჭავაძე ბანკის გამგეობის თავმჯდომარედ აირჩია.<sup>1</sup> ბანკის ამოქმედებამდე 1874 წლის დამლევს ილიას ისევ მოუხდა გამგზავრება რუსეთში, რათა ხელშეკრულება გაეფორმებინა ფასიანი ქაღალდების დამზადების ექსპედიციასთან გირაოს ფურცლების გამოშვების თაობაზე, თანაც სურდა მოლაპარაკებოდა მოსკოვისა და პეტერბურგის ბანკირებს თბილისის ბანკის გირავნობის ფურცლების მისაღების პირობაზე.

1875 წლის იანვარ-თებერვალში ჩატარდა ბანკის დამფუძნებელი თავადაზნაურების კრება, რომელმაც აირჩია დამფასებელი კომისიის წევრები, რომელთა არჩევის გარეშე შეუძლებელი იყო ბანკის ამოქმედება. კრების 3 თებერვლის სხდომაზე ბანკის გამგეობის თავმჯდომარემ და მმართველმა, ილია ჭავჭავაძემ, საპროგრამო სიტყვა წარმოსთქვა. მან ჩამოაყალიბა ის პრინციპები, რომლითაც ბანკს უნდა ეხელმძღვანელა და რომელსაც იგი მტკიცედ იცავდა იქ მოღვაწეობის პერიოდში.

„ბანკი თავადაზნაურობამ დააწესა იმ განზრახვით, რომ მისგან შეწირული ფული სესხად მოეფინოს ჩვენს ქვეყანასა, მაგრამ ისე მოეფინოს რომ მაგ ფულის ერთი გროშიც არ დაიკარგოს. სესხმა ფულით ასარგებლოს, ფულმა ფული მოიგოს და მხოლოდ ამ მოგებიდან უფრო დიდი წილი ჩვენი ქვეყნის საერთო საჭიროებას მოხმარდეს. ზოგი ღარიბთაც გაუნაწილდეს, იმ ღარიბთა, რომელნიც რომელიმე უბედურების გამო სიღარიბეში ჩაცვინულან და არა იმათ ვინც გულადმა წვანან, გულზედ ფაფუკი ხელეები დაუკრეფიათ, პირი დაუღიათ და ჰყვირიან მასვით და მაჭამეთო.“<sup>2</sup>

აქვე გვინდა ვთქვათ, რომ საადგილმამულო სათავადაზნაურო ბანკი იმ დროისათვის გახლდათ უადრესად მნიშვნელოვანი საკრედიტო-საფინანსო კომერციული დაწესებულება, რომელსაც სული უნდა შთაებერა ქართული ეკონომიკის განვითარება აღმავლობისათვის და ეს ასეც გახლდათ მთელი ბანკის არსებობის იტორიაში. იმავდროულად ბანკი გახლდათ ერის თვითმოქმედების სარბიელი.

განუსაზღვრელია საადგილმამულო ბანკის როლი ქვეყნის ეკონომიკურ და კულტურულ მშენებლობაში. საბანკო ანგარიშებში ხშირად ხდებოდა იმის დამადასტურებელი ცნობები, რომ ბანკი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს-

თვის სასიცოცხლო-საქვეყნო საქმეებში მონაწილეობის ფაქტები. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება იყო კახეთის რკინიგზის მშენებლობა.

საადგილმამულო ბანკის კრებაზე ამ საკითხის წამოჭრის შემდეგ, 1883 წლიდან ილია ჭავჭავაძეს არაერთხელ მიუქცევია საზოგადოების ყურადღება ამ მეტად მნიშვნელოვანი საკითხისადმი და მიუთითებდა, რომ კახეთის ალაზნის ველი ბუნების სიმდიდრედ გამოირჩევა და იგი არის ბოლაზი მთელი საქართველოსი, თუმცა იგი რატომღაც განზე დარჩა, გამოაკლდა საქართველოს ბაზრებს და საჭიროა მისი ამ ფერხულში ჩაბმა.

ეს საჭიროება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა ფოთი-ბაქოს რკინიგზის მშენებლობის შემდეგ მისი აშენების აუცილებლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, რადგან კახეთის რკინიგზა ხელს შეუწყობდა პროდუქციის რეალიზაციას, რომელიც მოდიოდა ამ რეგიონში და უგზოობის გამო ფუჭდებოდა. მართლაც, რკინიგზამ ხელი შეუწყო მეხილეობა-მეხოსტნეობის განვითარებას. კერძოდ კი რკინიგზამ გააადვილა ღვინის გატანა, წარმოშვა მევენახეობის ახალი რაიონები და მევენახეობა-მეღვინეობა იქცა სავაჭრო საქმიანობად, რითაც ხელი ეწყო ბიზნესის განვითარებას. ბანკის გამგეობამ, მხარი დაუჭირა რკინიგზის დაფინანსებას და მთავრობას წარუდგინა თხოვნა, რაც არა ერთხელ მოხდა.

ბანკის უშუალო მხარდაჭერით მოხდა რკინიგზის საძიებო სამუშაოების ჩატარება და მისთვის გამოიყო 15000 მანეთი, რამაც მნიშვნელოვნად დააჩქარა რკინიგზის მშენებლობა.

ასევე აღსანიშნავია ბანკის მოღვაწეობა განათლებასა და ეროვნული კადრების აღზრდის საქმეში. შეიქმნა სპეციალური ფონდი, რომელიც აფინანსებდა ახალგაზრდებს უცხოეთში სასწავლებლად გასაგზავნად. ფაქტია, რომ იმ დროისათვის იდეენებოდა ქართული ენა სკოლებიდან. ამიტომ საჭირო იყო ფინანსური სახსრები იმისათვის, რომ როგორმე შეგვენარჩუნებინა ქართული ენა, რაშიც ზემოთგანხილულმა ბანკმა უდიდესი როლი შეასრულა და მხოლოდ ამ მიზნებისათვის ბანკმა გამოყო 180000 მანეთი. შეიქმნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება. მთლიანობაში 1879 წლიდან 1909 წლამდე მარტო თბილისის გიმნაზიისათვის ამ მინით გამოიყო მილიონ სამასი ათას მანეთზე მეტი.<sup>3</sup>

გაიხსნა სამეურნეო სკოლები წინამძღვარი-

<sup>1</sup> საქართველოს ცნია, ფონდი 394, საქ. 8, ფურც. 12.

<sup>2</sup> გაზეთი "დროება", 1875 წელი №16.

<sup>3</sup> საქართველოს ცნია, ფონდი 394, საქმე 98-99, ფურც. 23.



ანთ კარში და სხვა დაწეებითი სკოლები ხოვ-  
ლეში, თონეთში და ა.შ. ასევე ფართო გასაქანი  
მიეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-  
დოების ეგიდით დაწეებითი ორ კლასიანი სას-  
წავლებლების გახსნას სხვადასხვა სოფელში,  
ასევე იხსნებოდა მოსამზადებელი კლასები,  
სამრევლო სკოლები და სხვა.

არ შეიძლება უყურადღებოდ დავტოვოთ  
საადგილმამულო ბანკის ზრუნვა ქართული  
თეატრის აღდგენა-განვითარებაში. ქართული  
ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის  
წარმომადგენლებს მნიშვნელოვნად მიაჩნდათ  
ქართული თეატრის აღდგენა და მუდმივმოქმე-  
დი თეატრის შექმნა და 80-იანი წლების ბოლოს  
შეიქმნა თეატრის მუდმივმოქმედი დასი და ა.შ.

ასევე, დიდი როლი შეასრულა ბანკმა სამედი-  
ცინო მომსახურების განვითარების საქმეში,  
კერძოდ კი ქოლერის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მოკლედ ჩამოვთვლით იმ ღონისძიებებს და  
გაწეული სამუშაოების მოცულობას, რაც 1875-  
1909 წლებში ბანკმა გასწია ამ მიმართულებით.  
მთლიანი თანხა შეადგენს მილიონ ცხრაასორ-  
მოცდაოთხი ათას ასოცდათექვსმეტ მანეთს, რაც  
დარგების მიხედვით შემდეგნაირად ნაწილდე-  
ბა:

1. სათავადაზნაურო გიმნაზიისათვის 1304883  
მანეთი და 95 კაპიკი;
2. სათავადაზნაურო გიმნაზიის აშენები-  
სათვის 100799 მანეთი და 79 კაპიკი;
3. წინამძღვარიანთკარის სასოფლო სამეურ-  
ნეო სკოლისათვის 105760 მანეთი და 84 კაპი-  
კი;
4. თბილისისა და თელავის წმინდა ნინოს  
ქალთა სასწავლებლებისათვის 29452 მანეთი  
და 46 კაპიკი;
5. გორის ვაჟთა გიმნაზიისათვის 3500 მანე-  
თი;
6. გორის ანასტასიას სახელობის ქალთა  
სასწავლებლისათვის 16452 მანეთი და 57 კაპიკი;
7. დახმარება სხვადასხვა სასწავლო დაწესე-  
ბულებებისათვის 22236 მანეთი და 29 კაპიკი;
8. კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნ-  
ველობისათვის 4000 მანეთი;
9. სტიპენდიები ამიერკავკასიის ქალთა  
ინსტიტუტისათვის 10273 მანეთი და 88 კაპიკი;

10. თავშესაფრებისათვის 1000 მანეთი;
11. დახმარება თბილისის უნივერსიტეტი-  
სათვის 1000 მანეთი;
12. სტიპენდიები უმაღლესი სასწავლებლის  
სტუდენტთათვის 77224 მანეთი და 75 კაპიკი;
13. დახმარება საშუალო და უმაღლესი  
სასწავლებლის სტუდენტებისა და მოსწავლე-  
ბისათვის 33399 მანეთი და 50 კაპიკი;
14. ქართველთა შორის წერა-კითხვის გამ-  
ავრცელებელი საზოგადოებისათვის 11000 მანე-  
თი;
15. ქართული დრამატული საზოგადოები-  
სათვის 206000 მანეთი;
16. გაზეთი მეურნე 1800 მანეთი;
17. კავკასიის 1889 და 1901 წლებისა და  
პარიზის 1900 წლის გამოფენებში თბილისისა  
და ქუთაისის გუბერნიების მიწათმოქმედთა  
მონაწილეობის მიღებისათვის 4938 მანეთი და  
80 კაპიკი;
18. კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგა-  
დოებისათვის 3000 მანეთი;
19. სტატისტიკური გამოკვლევებისათვის 9175  
მანეთი;
20. კახეთის რკინიგზის საძიებო სამუშაოე-  
ბისათვის 15306 მანეთი და 33 კაპიკი;
21. ვენახის ავადმყოფობის სამკურნალოდ  
4596 მანეთი და 56 კაპიკი;
22. 1892 წლის ქოლერის წინააღმდეგ სა-  
ბრძოლველად 12359 მანეთი და 74 კაპიკი;
23. სტიქიით დაზარალებულთა დასახმარე-  
ბლად 74427 მანეთი;
24. შიმშილობის დროს მოსახლეობის დასახ-  
მარებლად 7500 მანეთი;
25. დახმარება სხვადასხვა პირებს 22034  
მანეთი და 50 კაპიკი;
26. მცხეთის ტაძრის და სამთავისის მო-  
ნასტრის შესაკეთებლად 5300 მანეთი;
27. ნუმიზმატური კოლექციის შესყიდვი-  
სათვის 2000 მანეთი<sup>4</sup>.

**დასკვნა:** მაშასადამე საადგილმამულო  
ბანკი, როგორც საკრედიტო დაწესებულება ხელს  
უწყობდა ქვეყანაში მეწარმეობის განვითარე-  
ბას და ასევე ახერხებდა ფულადი სახსრები  
გამოყოფას საქველმოქმედო ფონდებისათვის,  
რამაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქვეყ-

<sup>4</sup> გაზეთი "ზაკავკაზიე" 1910, გვ. 230.



ნის სოციალურ-კულტურულ აღორძინებაში.

**ბამოყენებული ლიტერატურა:**

1. გაზეთი „დროება“ 1876 წელი, №35.
2. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა ტომი 1, 1964 წელი.
3. ნიკო ნიკოლაძე თხზულებათა ტომი 1, 1962 წელი.
4. გაზეთი „ივერია“ 1893 წელი, №88.

5. გაზეთი „ნოვოე ობოზრენიე“ 1888 წელი, №152.
6. საქართველო ცხია, ფონდი 394, ფურც. 29.
7. სეით იაშვილი, მასალები თბილისის გიმნაზიის ისტორიისათვის, თბილისი 1956 წელი.
8. ს. ხუნდაძე „დიმიტრი ყიფიანი“ თბილისი, 1936 წელი.
9. ს. მესხი, თბილისი, ტომი 3, 1964 წელი

## FORMING OF THE GEORGIAN NOBLEMEN BANK

### Summary

**RAMAZ OTINASHVILI – Professor of GTU**

**E-mail: otin-44@mail.ru**

**SHALVA KUTUBIDZE – PHD student of GTU**

**E-mail: kutubidzeshalva@gmail.com**

In the article “Forming of the Georgian noblemen bank” it is said that forming a bank is one of the notable events, and it has significant role in social and economical advancement of a country.

A proper study of said subject and research of the beginning of the Georgian financial institutes would, undoubtedly, benefit development of today’s Georgian banking.

From given materials we can see how many-sided Georgian noblemen bank was. It can be said that it did not leave any field without its influence. Of course, we can’t expect from today’s banks the same things, that estate banks achieved, but it would be desirable, if they more actively and effectively involved themselves with different aspects of our society, such as culture, sport or science.

Article tells us about the Georgian bank for noblemen, the first financial institute in Georgia, which, as loan institution, helped developing entrepreneurship in country and at the same time, managed to contribute for charity funds. It had great role in social and cultural rise of the country.

The estate banks of Tbilisi and Kutaisi were using significant part of their profit for public goods, in that sense, they were fundamentally different from every other credit corporations, functioning in Russian empire.